1991 წლის 25 თებერვალს კი ერთ-ერთმა ბმელებიდან ორი ფრთოსანი რაკეტით ამერიკულ საზღვაო ხომალდ **BB-63 Missouri**-ს შეუტოეს. ერთი რაკეტა ამერიკელებმა რადიოელექტრონული საშუალებებით განარიდეს, ხოლო მეორე კი ესკორტში მყოფმა ბრიტანულმა საესკადრო ნაღმოსანმა **D-96 Gloucester**-მა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **Sea Dart**-ის გამოყენებით ჩამოაგდო.

სახმელეთო მობილური სარაკეტო

დანადგურები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების შეიარაღებაშიც გამოჩნდა და ტერორისტებმა რამდენჯერმე ხომალდების გასანადგურებლადაც გამოიყენეს.

ერთ შემთხვევაში „ალ-ჰაიდას“ წევრებმა 2005 წლის 19 აგვისტოს იორდანის პორტ აქაბაში ამერიკის მე-15 ფლოტის უნივერსალური სადღესასწაულო ხომალდ **LHD-3 Kearsarge**-სა და საღვაწლო ხომალდ **LSD-48 Ashland**-ს „კატეშუს“ ტიპის 3 თეთინაკეთი რაკეტა ისროლეს.

რაკეტებმა ხომალდებს გადაუფრინეს და პორტის ტერიტორიაზე საწყობის მახლობლად აფეთქდნენ.

ბევრად მძიმე შედეგი დასრულდა ლიბანის მეორე ომის დროს 2006 წლის 14 ივლისს ისრაელის ფლოტის კორვეტ **Hanit**-ზე თავდასხმა. „კუნზოლაას“ მებრძოლების გამუხუბული ჩინური ფრთოსანი რაკეტა **C-802** ხომალდს ლიბანის სანაპიროდან 16 კმ-ში, პატრულირებისას მოხვდა.

აფეთქებამ ხომალდი მძიმედ დააზიანა და 4 მესღაური იმსხვერპლა. **Hanit**-მა პატრულირება შეწყვიტა და სასწრაფოდ ბაზაში დაბრუნდა.

Hanit-ი თანამედროვე ხომალდია, რომელსაც სხვადასხვა სახის საპაერო საბრძოლველსაგან 4-დან 5000 მტრის სიმაღლის დააპნონში თავდასაცემად საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **Barak-2** და სწრაფმოსროლელი ექვსსაფეხურიანი 20 მმ-იანი საზენიტო კომპლექსი **Phalanx**-ი აქვს, მაგრამ რაკეტის არიდება მანც არ მოხერხდა.

ჩვენი ქვეყნისათვის სანაპირო ზოლის დაცვის აუცილებლობა აუხაზეთის კონფლიქტის დროს 1992-93 წლებში განჩნდა.

მოწინააღმდეგე მცურავი საშუალებების გამოყენებით არცთუ იშვიათად ქართული ფორმირებების კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიის საცეხლუ დამუშავებას, დივერსიული ჯგუფებისა და დესანტის გადმოსხმის ცდილობდა.

სანაპიროს საიმედო დაცვისათვის საჭირო იყო ზღვაზე დაკვირვებისა და კონტროლის საშუალებები, რისთვისაც ქართველმა სამხედროებმა სამოქალაქო დანიშნულების რადარები და სამეცნიერო-საკვლევო გემი „ვექტორი“ გამოიყენეს.

ამ უკანასკნელს რადარებთან ერთად პიდროკუსტიკური აპარატურაც ჰქონდა, რომლითაც ორჯერ წყალქვეშა გაურკვეველი ობიექტი დაფიქსირდა.

აფხაზების სარკინიგზო სანაპირო დაცვის ბატარია



სამოქალაქო რადარებისა და საარტილერიო ბატარეების ერთობლივ შემოაბას თან სირთულეებიც ახლდა. რადარების მომსახურე პერსონალი თვე-ლისათვის მიღებსა და გრადუსებს, არტილერიისტები კი შეტრებსა და მიღებს იყენებდნენ, რაც მანქნებლებს გადაყვანისას სირთულეებს იწვევდა. აუზნუთის სანაპირო ზოლს დაახლოებით 27კმ სიგრძეზე, სადაც ნაპირ-თი მოწინააღმდეგის მოახლოებისა და დანტის გადმოსხმის სამშრობა არსებობდა, საარტილერიო ბატარეების ცეცხლი იცვდა.

ბატარეები იდგა კელასურთან, ბაბუშკასთან, ფიზიკატეჩიკურ ინსტიტუტთან, ოპაშირისთან, კანდთან და სხვ. ოპაშირისთან ბატარეის ქვეშეხები რუს შესაზღვრება ბაზისკენ იყო მიმართული, რადგანაც აფხაზთა მცურავი საშუალებები ბაზის აკვატორიას დროდადრო თვესუაფრად იყენებდნენ. სანაპირო დაცვა ვეკვლა იმ საარტილერიო სისტემას აერთიანებდა, რომელთაც ფორტზე შედარებით ნაკლები სარგებლობის მოტანა შეეძლო (100 მმ-იანი სახეხიტო KC-19, 85 მმ-იანი საღეხილი D-44, 85 მმ-იანი ტანკ-

საწინააღმდეგო D-48), მაგრამ ზღვიდან მტრის შემოტევის მოსაგერიებლად საკმარისი იყო. რეზერვში იყო მობილური ოთხ 122 მმ-იანი D-30 სისტემის პაუბიცების ბატარეა.

სანაპირო ზოლის დასაცავად დაახლოებით 60-მდე საარტილერიო სისტემა იყო გამოყოფილი და თითოეული ქვეშეხის ცეცხლი 10-12 კილომეტრის რადიუსს ფარავდა.

პრობლემას წარმოადგენდა კავშირის სისტემას და ღამის ხედვის ხელსაწყოების უქონლობა, მაგრამ არტილერიისტი ოფიცერებისა და ქვეშეხების გათვლების მაღალი პროფესიულობა კარგ შედეგს მაინც იძლეოდა.

1993 წლის 14 მარტს სეპარატისტთა ძლიერი შემოტევის დროს მოწინააღმდეგე დიდი საღეხიტო ხომალდითა და 7 პატარა კატარლით სოხუბთან დანტის გადმოსხმას შეეცადა, მაგრამ ჩვენმა არტილერიისტებმა ზუსტად ცეცხლით ამის საშუალება არ მისცეს და ორი კატარლიც ჩაძირეს.

კონფლიქტის შემდგომ წლებში საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედიოდა საარტილერიო დივიზიონი, რომელიც

საზღვაო სამიზნეებზე სროლისათვის გადაკეთებულ 12 ერთეულ KC-19-ს ითვლიდა. კიდევ 4 ქვეშეხი გადაკეთების პროცესში იყო, ხოლო ბატარეების განსათავსებელ პოზიციებზე ადგენილი სამუშაოები იყო დაწყებული.

მაგრამ 2003 წლისათვის დივიზიონი დაიშალა, ხოლო 2008 წელს სამხედრო-საზღვაო ძალები გაუქმდა, ბატარეებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები კი გაიყვანა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში აჭარაში, სოფელ ურუბთან მდებარე №431 ბატარეის ქვეშეხებიც ვართად დაიჭრა.

ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების მდგომარე შეფასების გამო გასული წლის აგვისტოს ომში საქართველოს სანაპირო ზოლი ზღვიდან და პაერიდან რუსი აგრესორების მოსაგერიებლად მომზადებული არ აღმოჩნდა.

ხოლო საზღვაო ძალების გაუქმებით სანაპირო ზოლში საქართველოსა და მეზობელი ქვეყნებისათვის არანაკლები მნიშვნელობის საზღვაო პორტებისა თუ სატრანსპორტო მაგისტრალების დაცვებზე პასუხისმგებელი სტრუქტურა აღარ დარჩა.

თემაზე ჩაზნაიძე



დაცვის პოლიცია
www.spd.ge

025 025 025 025 025

ბინა + აგახაჯი

025 025 025 025 025



+



= **135**

025 025 025 025 025

თა თაჰანი სასოვრაბალი ბინა მზაბაროუს თბილისში და ცაქალი სიგნალრაჰიით 836 მთარ,
თაჰანი ჟოვლთთიარ სასოვრაბო გაღასახას იხლით 80 ლარს,
ხოლო თა თაჰანი ზარაიი მზაბაროუს წყნათში, საზარაოში,
ზინდისში, ნავანისში, ოქროყანაში, ბახახმალაში, ბაჰარინაში, გორჯოში,
პაკრითში, გონიოში ან სარაჰში და ცაქალი ანაკა სიგნალრაჰიით - იხლით 100 ლარს,
რაც ააშით 180 ლარს ადრის.

თა თაჰანი ისარგზულბთ 836ნი ახალი საროშით "ბინა+აზარაი",
თაჰანი გაქლაჰათ საზაულაჰა ართდროულად ლაიფათ ბინა და აზარაი 135 ლარად

დაგზიპაჰშირლით ნომარა : **025**

და მიღლით დაგაბაშით იხლორავანი 24 ლაითი ბანგალრაჰი.

025 025 025 025 025

სანაპირო დაცვის თანამედროვე სისტემები



ფრანგული Exocet-ი მრისხანე რაკეტად რჩება

სისტემები

ბელი სირიულეები აქვს, რომელიც ძირითადად სამიზნის ტენას, იდენტიფიცირებასა და დამზინებას შეუძლებს.

ხმელეთიდან რადარის საშუალებით არეული შეზღუდულია, მაგალითად, 50 მ სიმაღლის ანიდან რადარი საზღვაო სურცეს 50 კმ, ხოლო ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლის მითდან 110 კმ რადიუსში აკონტროლებს.

ზოგიერთ ქვეყანაში სანაპირო ზოლის დაცვას დიდი ყურადღება ექცევა და ამისათვის გამოყოფილი ქვედანაყოფები სამხედრო-საზღვაო ფლოტის ან სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედის.

სანაპირო დაცვა ზღვაზე დაკვირვების სისტემებს, ნაკლებად სტაციონარულ და მეტწილად მობილურ საარტილერიო თუ ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების ბატარეებს აერთიანებს.

სანაპირო ზოლის საშუალო და დიდი მანძილებზე დაცვაში მთავარი ადგილი ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემებმა დაიკავა, მაგრამ შორეულ მანძილებზე რაკეტების გამოყენებას დამახასიათებელია.



ჩინური HY-2 ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში პოპულარულია



შვედური RBS-15ka სანაპიროს საიმედოდ იცავს

ამიტომ შორეულ მანძილებზე სამიზნეების ტენა-დაკვირვებისათვის თვითმფრინავები, ხოლო სანაპიროდან ახლოს რადარები გამოიყენება.

ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების შესაძლებლობებიც განსხვავებულია და სპეციალისტთა შეფასებით, მაგალითად, საესკადრო ნაღმოსნის განადგურებას არანაკლებ 3-4 ფრთოსანი რაკეტა, ხოლო ფრეგატს, კორვეტსა და სადესანტო ხომალდს 2-3 რაკეტა მაინც დასჭირდება.

მხანში მოხვედრის მაღალი სიზუსტის გამო ერთი ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა დაახლოებით 2500 ხვეულკბრები სურვის ტოლფასია.

სანაპირო ზოლის თავდაცვის სისტემა არსებული საერთოხეებისა და ნაპირის რელიეფის გათვალისწინებით შეირჩევა.

ევროპის ქვეყნებიდან ერთ-ერთი საუკეთესოდ ორგანიზებული სანაპირო დაცვა შეეცაას აქვს, შეეცის არმია ნა-

პირის დასაცავად იყენებს, — ქვემტებს (75 მმ-იანი, 105 მმ-იანი და 120 მმ-იანი), ნალმატორტებს (80 მმ-იანი და 120 მმ-იანი), 40 მმ-იან საზენიტო ავტომატებს და ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსან რაკეტებს (RBS-17 და RBS-15ka).

ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების გამშვები დანადგარები მაღალი გამავლობის საავტომობილო შასეზეა (თვლების ფორმულა 6X6) დამონტაჟებული და პატარეებს კარგი მოხილურობით უზრუნველყოფს.

ოთხი RBS-15ka-ს ტიპის რაკეტა სპეციალურ კონტინერებშია მოთავსებული და ავტომობილ Scania-112 H2-ის შასეზეა დაყენებული. ავტომატიზაციის ხარჯზე დანადგარის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას მხოლოდ 5 წუთი სჭირდება.

შვეციის ძლიერ დანაწერებული სანაპირო მრავალრიცხოვანი კუნძულებითა და ფიორდებით ახლო მანძილზე მოქმედი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გამოყენების პირობებსაც კმნის.

შვედებმა ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა Hellfire-ს (AGM-114B) საფუძველზე სარაკეტო სისტემა RBS-17 შექმნეს და 1987 წელს შეიარაღებაში მიიღეს.

RBS-17 ახლო მანძილებზე პატარა და საშუალო წყალწვეის ხომალდების გასანადგურებლად არის განკუთვნილი.

სანაპირო დაცვასთან სრულიად განსხვავებული მიდგომა აქვს ისრაელს, რომელსაც სანაპირო არტილერია და სარაკეტო სისტემები საერთოდ არა აქვს.

ისრაელისათვის მთავარ საფრთხეს ტერიორიულ დეკორები და დეკორები წარმოადგენენ, ამიტომ სანაპირო ზოლსა და მიმდებარე წყლებს თანამედროვე რადარებისა და ვიზუალური დაკვირვების საშუალებით აღჭურვილი პოსტები უზრუნველყოფს.

ამერიკული Harpoon-ი



საჭიროების შემთხვევაში, საზღვაო სამსხვერპთან საბრძოლველად ავიაციასთან ერთად ტანკების, თვითმავალი საარტილერო დანადგარებისა და საეკლექტივი არტილერიის გამოყენებაა დაგეგმილი.

ავიაციისა და მართვადი რაკეტების გაზრდილი მნიშვნელობის ფონზე სანაპირო ზოლის ახლო მანძილებზე დაცვაში არტილერია და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები ეფექტიანობას ვერ კიდევ ინარჩუნებენ.

რუსები რამდენიმე წელია დიდ რუკულაში უკეთებენ სპეციალურად სანაპირო დაცვისათვის შექმნილ მოხილურ,

130 მმ-იან საარტილერო სისტემა A-222 Berer-ს.

სარეკლამო ბუკლეტების მიხედვით, სისტემს დაახლოებით 20-23 კმ მანძილზე წუთში 10 გასროლის გაკეთებას ასწრებს. თავად რუსებს Berer-ით ვერჯერობით ნეოროსისისკის მახლობლად განთავსებული სანაპირო დაცვის პოლკის ერთი დევიზიონი ჰყავთ აღჭურვილი.

საქართველოს პირობებს ყველაზე კარგად მოხილური ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების სისტემები მიესადაგება, მაგრამ საზღვაო სფეროს საჯივანო კონტროლის საშუალებებთან ერთად.

თეიმურ ჩაჩანიძე

Exocet-ის სტარტი



სანაპირო დაცვაში გამოყენებული სარაკეტო სისტემები

მწვენი	სისტემის დასახელება	რაკეტის მასა კილოგრამაში	ფრენის სიშორე კილომეტრი	საბრძოლო ნაწილი კილოგრამაში
საფრანკეთი	Exocet MM-40	850	70	165
შვეცია	RBS-17	43	10	9
შვეცია	RBS-15ka	770	70-100	200
ჩინეთი	HY-2 Silkworm	2998	90	513
ჩინეთი	C-802/YJ-2	715	15-120	165
ტაივანი	Hsiung Feng-2	685	80-169	150
აშშ	Harpoon RGM-84A	620	111	227
რუსეთი	П-15	2523	40-100	513



აფხაზი საპარკატისტი ისევ გვემუქრებინა

თევზჭერა სოხუმის შემოხველების ერთ-ერთი წყაროა



პანამის დროშით მცურავი თურქული ტანკერი **Buket**-ის დაკავებამ და გემის კაპიტნის გასამართლებამ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების უადრესად მწვავე რეაქცია გამოიწვია.

სურავი ბალაფშმა 2 სექტემბერს აფხაზეთის სამხედრო-სახლავო ფლოტს (ძალაინ ხმაძალი ნათქვამია) ე.წ. აფხაზეთის სახლავო საზღვრების დამარღვევით ქართული ხომალდების განადგურება უბრძანა. ბალაფშის განმარტებით, ბრძანება მხოლოდ აფხაზეთის სამხედრო-სახლავო ფლოტს შეეხება და დაახუსტა, რომ საკითხის გადაჭრამ რუსეთის სამხედრო-სახლავო ფლოტის გამოყენება არც ახლა და არც მომავალში გათვალისწინებული არ არის.

აფხაზეთის სამხედრო-სახლავო ფლოტი ორ ძველ სადინარო ჯავშანკატარა „შმელს“ (წყალწვევა 80 ტონა), რამდენიმე საპატრულო „აგროფსა“ (წყალწვევა 50 ტონა) და „კულიკს“ (წყალწვევა 54 ტონა) ითვლის, ხოლო შეიარაღებაში 23 მძინარი 3Y-23-2 ტიპის ავტომატები, 12,7 მძინარი და 7,62 მძინარი ტყვიამფრეკვეთი და უმართავი რაკეტული ჭურვების გამშვები დანადგარებია გამოყენებული.

ასეთი კატარღების მეთაურებს ზღვაში ქართულ კატარღებთან მომავალ ბრძოლაზე უფრო მეტად საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრი მოუწევთ, რომ შემთხვევითი ტალღამ სახელგანთქმულ აფხაზ მეკობრეთა საქმის გამგრძობლებს საშუალო სასუფეველი ზღვის ფსკერზე არ დაუშკვიდროს.

თურქული ტანკერის გარშემო ატეხილი მძაური კომპანია „აბხაზსკოე მორსკოე პაროხოდსტვოს“ გენდირექტორმა ზაურ არძინამ უფრო გაამწვაჟა.

3 სექტემბერს ტელეარხ **abaza TV**-ით გამოცხვლისას არძინამ განაცხადა, რომ ქართველი მესაზღვრეები თურქული ტანკერის დაკავებას აფხაზეთი სტრუქტურების ხელშეწყობის გარეშე ვერ შეძლებდნენ. თავისი მოსაზრების საფუძვლიანობისათვის ის ამტკიცებდა, რომ ქართველმა მესაზღვრეებმა ტანკერთან მიახლოებისას ყველა სანავიგაციო ხელსაწყო გამორთეს, რათა რადარებს არ შეეჩინა და თურქებს თავი რუსული სადარავო ხომალდის ეკიპაჟად წარმოუღებინეს.

ზაურ არძინას თქმით, ეჭვს იხივ აძლიერებს, რომ ქართველ მესაზღვრეებს **Buket**-ის ეკიპაჟის წევრთა სია და აფხაზების მიერ გაცემული სხვა დოკუმენტების ასლები აღმოაჩნდათ.

ამ სენსაციური გამოსვლის შემდეგ სოხუმის ხელისუფლების საბაჟო კომიტეტისა და სახელმწიფო უმისრობის სამსახურის სასაზღვრო რაზმის წარმომადგენლებმა კომპანია „აბხაზსკოე მორსკოე პაროხოდსტვოს“ გენდირექტორის ბრალდებები უარყვეს და უსაფუძვლო უწოდეს.

მოსკოვმა არძინას ფანტაზიის ნაყოფი საქართველოს საწინააღმდეგო კიდევ ერთ ბრალდებად გამოიყენა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეიარაღებულ ინციდენტებს დაგვიპირდა.

რუსეთის თავგამოდების უკან ერთი მიზეზი დგას, — მოკლე დროში სოჭის ოლიმპიადისთან დაკავშირებით ტვირთის მოცულობის შესაძენევი მომატება იგვემტა, რომლის ერთ ნაწილს, ალბათ, სოხუმის პორტი მიიღებს.

მოსკოვში მაინათა, რომ ქართველი მესაზღვრეების აქტიურობამ შეიძლება ოლიმპიადისათვის მზადებას ხელი შეუშალოს და ამის თავიდან ასაცილებლად რუსეთი თადარიგს იჭერს.

ბალაფშს საკუთარი „ფლოტი“ დანაბრების შესრულება გაუჭირდება, ხოლო აფხაზურდროშიანი რუსული კატარღებითა და ეკიპაჟებით სახლავო ბატალიების გამართვა სკანდალის მიზეზი გახდება. ამიტომ ე.წ. აფხაზეთის სახლავო საზღვრების რუსული სანაპირო დაცვა გააკონტროლებს, რომელსაც გამოცდილება მტრე აქვს და დასაჯიღლოებული სამხედროებიც ბლომად მკვირს.

ერთი ტანკერის გამო ატეხილი ეს აურხაური და მექარა იმის შედეგია, რომ საქართველოს გვერდის ავლით თურქეთის კრძო კომპანებსა და სოხუმის შორის საუჭრო-უკონომიკური ურთიერთობა კარგა ხანია გაჭიმდება.

დაკავებული ტანკერი (უკვე მერამდენე **Densa Tanker Ltd**-ს ეკუთვნის, რომლის ოფისი სტამბოლში მდებარეობს. ბოლო ერთი წლის მანძილზე ამ გემმა სოხუმში ხუთი რუსეთი საწვეო შეიქანა. აფხაზეთის პორტებში შესვლამდე ამევე კომპანიის სხვა ტანკერებიც არიან შემწნეული.

ტანკერს გადაჰქონდა ბენზინი და დიზელის საწვეო, რომელიც ერთ-ერთი

მსხვილი ნავთობგადამამუშავებელი თურქული კომპანია Tupras-ის ქარხანაში წარმოებული.

არაეინ კრძალავს აფხაზეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებში საზღვაო კავშირებთან ერთად დიდი ადგილი საქართველოს ტერიტორიული წყლები-ის აფხაზეთის მონაკვეთზე თევზჭერასაც უკავია.

თევზჭერის ლიცენზიის სოხუმის ეკონომიკის სამინისტრო გასცემს და მას როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა ქვეყნების კომპანიები ვიდულობენ, მაგრამ თევზჭერით, ძირითადად, მაინც თურქული კომპანიებია დაკავებული.

თევზის რეწვის სესონზე (შემოდგომა-ზამთარი) აფხაზეთის წყლებში საშუალოდ 15-20 სეინერი მუშაობს, რომლის დიდი ნაწილი თურქულ ან ერთობლივ კომპანიებს ეკუთვნის.

აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრომ 2004-2005 წლებში ლიცენზია 14748 ტონა ქაფშიაზე, ბარაბულზე, სტაირდასა და მერლანზე გასცა და როგორც ადგილობრივი ეკოლოგები აღნიშნავენ, თურქების მუშაობის შემდეგ (მთიელები აკრძალული ფსკერული ტრალაბით მუშაობენ) ზღვაში ყვე-

აფხაზური თევზჭერი სეინერები



ლაფერი ცოცხალი ნაღვრდება და ფსკერზე მხოლოდ შიმშული ქვები რჩება.

მიმდინარე წლის თებერვალში დაკავებულ თურქულ სეინერ Pala Reisz-ზე 50,1 ტონა ქაფშია აღმოჩნდა, ხოლო რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ რეფერიეტრატორს 300 ტონა თევზი გადააქონდა.

აფხაზეთის სანაპიროსთან მომუშავე სეინერებიდან ყველაზე ბევრი თურქულ კომპანია Kiyak Kardesler-ს ეკუთვნის. თევზჭერით დაკავებულია თურქული კომპანია Konew-ი, აფხაზურ-თურქული კომპანია Amlagura, რუსულ-თურქული კომპანია Altin-ი და სხვები. შემწეულია

თევზჭერი უკრაინული და რუსული პატარა კომპანიების სეინერებიც.

8 სექტემბერს რუსეთის სასაზღვრო სამსახურის უფროსი, არმიის გენერალი ვლადიმირ პრინიჩევი სოხუმში სერგეი ბაღაფში შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ რუსეთი აფხაზეთის ე.წ. საზღვაო საზღვრების დასაცავად დამატებით საშუალებებს გამოყოფს.

რა დამატებით საშუალებებზეა ლაპარაკი, დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ შეიძლება ვეფარაუდოთ, რომ ეს იქნება ზღვაზე დაკვირვების რადარები და საპატრულო კატარღები.

თემურ ჩაჩანიძე

აფხაზეთის სანაპიროსთან პატრულირებას რუსული „სვეტილიაის“ პროექტის კატარღები განახორციელებენ



კავკასიური მოვლენები



აზერბაიჯანის არმია
კავკასიაში უძლიერესია —
ასე ფიქრობენ ბაქოში

აზერბაიჯანი

● 28 აგვისტოს ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წვრთნების დროს ჯავშანტრანსპორტიორის გადარბუნების შედეგად აზერბაიჯანის არმიის ორი სამხედრო მოსამსახურე 36 წლის ზეგადანი სამსახურის ჯარისკაცი და 26 წლის პრაპორშჩიკი დაიღუპა.

● მილიმეტრებისა სამშობლო სესიაზე უნდა განიხილოს კანონპროექტი სამშვიდობო ძალების შესახებ, სადაც სხვადასხვა საკითხთან ერთად მშვიდობისმყოფელთა მატერიალურ-ტექნიკური პრობლემებიც არის ასახული.

აზერბაიჯანის არმიის სამშვიდობო კონტინგენტი ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობს.

● 4 სექტემბერს ადჯაბადის რაიონში (ყარაბაღის მახლობლად) ტრაქტორი ნაღმზე აფეთქდა და მასში მყოფი სამი სამხედრო მოსამსახურე მძიმედ დაიჭრა.

● თავდაცვის სამინისტროს პრესამსახურის უფროსის ელდარ საბირილეს განცხადებით, კავკასიაში აზერბაიჯანის არმია უძლიერესია. მისი თქმით, არმიას შეუძლია მასზე დაესრებულ ამოცანების შესრულება და მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება, თუ სამშვიდობო მო-

ლაპარაკებები ნაყოფს არ გამოიღებს. საბირილეს ინფორმაციით, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო ურთიერთობებს წარმატებით ავითარებს 52 ქვეყანასთან. 26 ქვეყანასთან არის შეთანხმება სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე და 23 ქვეყანასთან ასეთი შეთანხმება მზადდება.

სომხეთი

● წესრიგითა და დისციპლინით გამოირჩევა სომხეთის არმიამ ძალადობის შეზღუდვები მაინც ხდება. 1-ელ სექტემბერს გარდაიცვალა 18 წლის ჯარისკაცი არამ მერტიანი, რომელიც სამსახურს ქალაქ ვაიკოში განთავსებულ სამხედრო ნაწილში გადიოდა. ჯარისკაცი ასეულის მეთაურმა ანდკო გასპარიანმა სცემს. შემთხვევა 28 აგვისტოს მოხდა და სასტიკად ნაკვეთ ჯარისკაცს რამდენიმე საათის განმავლობაში დახმარება არავინ აღმოუჩინა, ხოლო დაგვიანებულმა საექიმო ჩარევამ შედეგად არ გამოიღო. ოფიცრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გასპარიანი თავს დანაშაუდს გრძობს, მაგრამ სიკვდილის ნამდვილი მიზეზის დასადგენად ექსპერტის ჩატარებას მოითხოვს.

ჩრდილო კავკასიის რეგიონი

● ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის მოსკოვის სამხედრო ოლქისაგან მე-8 მოტომსროლელი ბრიგადის შტაბები გადაიტაცა, რომელიც ყოფილ ტაშანის მე-2 მოტომსროლელი დივიზიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა. ბრიგადის შტაბი 3800 სამხედროზეა გათვლილი და პატალიონები БТР-80-ებით აღიჭურვება. ბრიგადის ფორმირება 1-ელი დეკემბრისთვის უნდა დასრულდეს.

● რუსეთის პრეზიდენტის 1-ელი სექტემბრის ბრძანებულებით, შვეი ზღვის ფლოტი და კასპიის ზღვის ფლოტილია ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადავიდნენ. სამხედრო ოლქის სარდალს ყოფილი მოადგილე საზღვაო ოფიცერი, წოდებით ვიცე-ადმირალი, რომელიც კურირებას საზღვაო საკითხებს გაუწევს. გამორიცხული არ არის, რომ ოლქის ოფიცრები შვეი ზღვის ფლოტისა და კასპიის ზღვის ფლოტის შტაბებში დაინიშნონ. საზღვის მიზანია ურთ-

ერევნის აზრით, სომხეთის არმია ყველაზე დისციპლინირებულია



SAS-ის ჩაფლავებული ოპერაცია


ყველა ქვეყნის სპეცსამხედროების ისტორია შეივავს როგორც ბრწყინვალე, დაუვინყარ გამარჯვებებს, ასევე მწარე, ზოგჯერ წარმოუდგენელ მარცხსაც, რომლის თავიდან აცილება ვერ მოახერხა მსოფლიოში სახელგანთქმულმა ბრიტანეთის საგანგებო საავიაციო სამსახურის ელიტარმა ქვედანყოფამ.

1982 წელს სამხრეთ ატლანტიკა პლანეტის ცხელ წერტილად იქცა: ფოლკლენდისა და სამხრეთ გეორგიის კუნძულების გარშემო ნამდვილი ომი ატყდა. მას შემდეგ, რაც არგენტინელებმა მოულოდნელად ამ კუნძულებზე დესანტი გადასხეს და რამდენიმე საათში მოითოკეს ინგლისური გარნიზონების წინააღმდეგობა, ყალფე შემდგარი ბებერი „ბრიტანული ლომის“ პასუხის ჯერიც დადგა.

ინგლისის საექსპედიციო ძალებისათვის, რომლებიც კუნძულების გასათავისუფლებლად ოპერაციის დაწყებას აპირებდნენ, ყველაზე დიდ საფრთხეს იმ დროისათვის ყველაზე თანამედროვე ხომალდსაინააღმდეგო, ფრანგული წარმოების რაკეტა „ეკზოსეტებით“ შეიარაღებული არგენტინული მიოიერიშე ჯგუფი „სუპერტენდერი“ წარმოადგენდა. სამიშროება იმდენად დიდ და რეალური იყო, რომ ბრიტანეთის სარდლობამ არგენტინელების მიოიერიშე თითომ-

ფრინავების განადგურება ჯერ კიდევ ოპერაციის ძირითად ფაზაში შესვლამდე გადაწყვიტა. ეს რთული მისია SAS-ს (საგანგებო საავიაციო სამსახური) დაეკისრა.

საავიაციო ფოტოდაზვერვისა და ავანტურის მონაცემების მიხედვით, „სუპერტენდერები“ რეგულარულად შეიშინებოდნენ რიო-გრანდეს მახლობლად მდებარე შუალედურ აეროდრომზე (მდებარეობს კუნძულ ცეცხლოვანი მიწის არგენტინულ ნაწილში) და არგენტინის კონტინენტურ ტერიტორიაზე განლაგებულ რიო-გალეგის სამხედრო-საჰაერო ბაზაში, რომელიც დაახლოებით იმავე განეზბა, რომელზეც ფოლკლენდის კუნძულები მდებარეობს. სადურისო გეგმა, მიიცივდა შემდეგ მოქმედებებს: რვა მებრძოლისაგან შემდგარი SAS-ის სადაზვერუო-სადურისო ჯგუფი უნდა გადასულიყო რიო-გრანდესთან მახლობლად, შეუმჩვენლად მახლობლობა აეროდრომს და ნაღმებით მწყობრიდან გამოეყვანა ყვე-



ლა მიოიერიშე „სუპერტენდერი“, რის შემდეგაც ჯგუფი წაიხილდა დათქმული ადგილისაკენ, საიდანაც შეეუღმფრენით ან შეეუღმფრენებო (სიტუაციის მიხედვით) მოახდენდნენ მათ ევაკუაციას.

თუ ჯგუფი ვერ მოახერხებდა აეროდრომზე შეღწევას, სათადარიგო გეგმით უნდა ემოქმედა, ჩასაფრებულიყო აეროდრომის მახლობლად და პერსონალიზირებული საშუალებების მეშვეობით ჩამოედლო ყველა აურუნელი მიოიერიშე „სუპერტენდერი“. ამ შემთხვევაში სპეცრაზმელების უკან მშვიდობიანად დაბრუნების შანსი ნულს ტოლი იყო.

არც იმ შეეუღმფრენის ბედი იყო შესაშური, რომელსაც მიოიერიშე ჯგუფი უკიდურესად დაბალ სიმაღლეზე ფრენით ცეცხლოვანი მიწაზე უნდა გადაესხა. ბრიტანეთის სამფეო-საჰაერო ფლოტის სამპილოტთან ევაკუეს სპეცრაზმელების გადასხმის შემდეგ საწყისი ნარჩენებით ჩილემდე უნდა მიეღწა და დაეწეა შეეუღმფრენი. რის შემდეგაც პილოტების ევაკუაცია დაიწეებოდა...

„შეეუღმფრენში“ გამაყრუებელი ხმაური იდგა. ძრავების გუგუნის შემამცირებელი პერმეტრული დამცველი და სალონის საფარბლები, მანქანის ასაფრენი მასის შეეცირების მხნით, მოხსნილი იყო. SAS-ის სპეცრაზმელები შეეუღმფრენის სატვირთო-სამგზაური სალონის იატაკზე, საგანგებო აღჭურვილობათა შორის ეცხედით, — იხსენებდა მოვკანებანი SAS-ის B ჯგუფის ერთ-ერთი კაპრალი, რომელიც ამ ოპერაციამში მონაწილეობ-

Sea King-ის ძრავების ხმაურის შემამცირებელი პერმეტრული დამცველი და სალონის საგარბლები, მანქანის ასაფრენი მასის შემცირების მიზნით, მოხსნილი იყო.



და, — ერთადერთი, რისი გარეგაც ან მხარეა, ჩახუთულ ხმელეთში შეიძლება, პილოტების დამის ხედვის აპარატურა იყო, რაც მათ გარემოს სკამოდ გამოკეთილი, მომწვანო კლდურების გამოსხულების დანახვის საშუალებას აძლევდა. SAS-ის წევრები კი დროდადრო, ილუმინატორებში რამდენიმე მეტრით დაბლა, ატლანტის ოკეანის აზვირთებულ ტალღების ფლურეცხვრებულ გამოსხულებას ხედავდნენ.

ეფიაშხადის უსაფრთხო გემბანი მათი საათის წინ დატოვეს. შეუღლებურნი გემბანის მოსწვდა თუ არა, მამინვე თითქმის ტალღების სიმაღლეზე დაეშვა და კურსი დასვლითი არგენტინის ნაპირებისკენ აიღო. ორი სპეცრაზმელი, გიბო და ტაფო, შეუღლებურების კურსისა და სიჩქარის აზმოთვა-გამოთვლას აწარმოებდა და უბის წიგნაკებში იწერდა მონაცემებს. ადრინდელმა დესანტისტების გამოცდილებამ სპეცრაზმელებს თავდაობის დაჭერა ასწავლა, რომ არ შეიძლება ეწიო შეუღლებურების პილოტების გათვლებს, საჭიროა საკუთარი სანავიგაციო გათვლებიც. თუნდაც პილოტების შესამჩნევლად, თუ სპეცრაზმელებს, სადაც საჭიროა იმ ადგილას არ გადასაბიენ, ოპერაციის გადარება მოუხდებათ.

სხვათა შორის, ამ საქმეში საგანგებო მოხაზება და წრთონები სპეცრაზმელების არ გაუკლიათა როგორც SAS-ის ევტერანები იხსენებენ, დიდა ხნის სამსახურის შედეგად მიღებული გამოცდილება მათ აძლევდა, რომ ამ დავალებასაც შესრულებდნენ.

მოულოდნელად შეუღლებურების პილოტის კაბინაში რადიოლოკაციური დასხუების მაუწყებელი სისტემა ახმაურდა. პილოტმა მანქანა კიდევ უფრო დაბლა, ტალღებისკენ დაეშვა. სიგნალი შეჩერდა. შეუღლებურები ისე დაბლა მივინიშნა, რომ ტალღების წვეთები კაბინის მინას ეცემოდა. რადიოლოკაციური დასხუების მაუწყებელი სისტემა საბოლოოდ დადუმდა, ესე იგი, მეღმსანტეხი ისე უჩინარი იყვნენ არგენტინის სანაპირო დაცვის რადიოსალოკაციო სადგურისათვის. შეუღლებურენმა დაბაძვლილბამ იმატა. პირიზონტზე მუქად გამოიკვეთა არგენტინის სანაპირო.

შეუღლებურების მეორე პილოტი სპეცრაზმელებისკენ მიბრუნდა და თითი ისე ტკაცა მუხზეუ გაშლილ რუკას, თითქმის გახერტას უპირებდა. გიბომ და ტაფომ რუკაზე პილოტების გამოთვლად ადგილს დახედეს და თავის დაქვეით დაადასტურეს, რომ გათვლები ერთმანეთს ემთხ-



სპეცრაზმელებმა გადამოსხმისთანავე სცადეს ადგილმდებარეობის დაზუსტება, მაგრამ მათი მხედველობის არეალში არც ერთი დამახასიათებელი ორიენტირი არ ჩანდა...

ვეოდა, ესე იგი გზა არ ახნევიათ. „სი კინგმა“ პლაჟს ვადალფონინა და მაქსიმალურად დაბალ სიმაღლეზე გააგრილა სელა ტერიტორიის სიღრმისაყენ.

შეუღლებურების გამოცდილი პილოტები არაერთხელ ყოფილან SAS-ის სპეცრაზმელებთან ერთად როგორც საწრთონელი, ისე საომარი ოპერაციების შესასრულებლად, მაგრამ დამის ხედვის აპარატურა მათთვის უცნობი დადმხარე საშუალება იყო. აპარატურა მათ ოპერაციის შესასრულებლად გაეფინის წინ მისცეს და ამიტომ პილოტებს მისი გამოყლის და ოპტიმალურად გამოყენების საშუალება არ ჰქონიათ. გიბომ „სი კინგის“ გვერდითი კარიდან გაყო თავი და სანავიგაციო ორიენტირები მოიძინა. დატწმუნდა, რომ პილოტებს მანქანა სწრაი კურსით მიჰყვდათ.

ამ დროს კი პირველმა პილოტმა მონიშნა შედარებით სწრაი ადგილი და დასაშუებად მოეშხადა.

„დაძაბულობა კვლავ გაძლიერდა და აუტანელი შეიქნა, — წერდა მოვანენითი საგანგებო საავიაციო სამსახურის ევტერანის ვენ კონორი თავის წიგნში „მოჩენებისათა ჯარი: SAS-ის საიდუმლო ისტორია“, — უკან დატბურნელობის „მოჩენებისათა ჯარი: SAS-ის საიდუმლო ისტორია“, — უკან დატბურნელობის განცდა გუეუვლება მამინ, როცა შეუღლებურების გარეთ ადმოხნდები და მიწაზე შეტებისათავე წინ გაიტყვეს. ეს სწრაი ყველაზე ამარხენია ნებისსეთერი ოპერაციის შესრულებისას.

შეუღლებურების ბორბლები მიწას შეეხო თუ არა, გიბო და ტაფო მანქანიდან გადმოხტნენ, მაგრამ გუეუვის ხელმძღვანელი, პირიზონი და მას ენდა გუწლოიო, ხელახლა დააკვირა რუკას. უცებ წამოივივრა და თავი გაიქნია. გიბომ დაუვივრა, ვეკლიაუერი რიგზეყო და თავისი ბონის შეუღლებურნიდან ვადატოვეას შეეცადა, მაგრამ ის გაუძალიანდა და კვლავ რუკა დაანახვა. სპეცრაზმელი შეუღლებ-

SAS-ის სპეცრაზმის სამიზნეს ფრანგული წარმოების რაკეტა „ეკზოსეტები“ შეიარაღებული არგენტინული მოიერიშე „სუპერტენდერები“ წარმოადგენდნენ...



ფრენში ავიდა და სცადა მეთაურისთვის ეჭვი გაეფანტა. ჯგუფის სხვა წევრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. რამდენიმე წუთის შემდეგ ტავიცი შეშვარა შვეულმფრენში და გაივინა, როგორ უბრძანა ენდომ პილოტს, „დასაუღეთის მიმართულიებით წადი. ჩვენ გადმოსხმის ადგილზე არ ვართ“.

შვეულმფრენი დაბალ სიმაღლეზე დასაუღეთისკენ გაფრინდა. მთორე პილოტი გაკვირებული მისწერებოდა ენდის, რომელმაც გადმოსხმის ნამდვილი ადგილიდან აფრენა უბრძანა მფრინავებს, მაგრამ სპეტრაზმის მეთაურს ოპერაციის მსვლელობისას გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს. მას, ნებსით თუ უნებლიეთ ვეღვა უნდა დაემორჩილოს. რამდენიმე წუთის ფრენის შემდეგ ენდომ თითოთქვემოთ მიანიშნა, „სი კინგი“ კვლე შეუხო მიწას, სპეტრაზმელებმა სწრაფად გადმოხტნენ შვეულმფრენიდან, რომელიც წამში მიიმალა და დასაუღეთის მიმართულიებით მალე ეკიპაჟმა მანქანა აკვადრესკას პლაჟზე, ჩილეს სამხედრო-საპაერო ბაზასთან ახლოს (10 მილი), მაკელანის სრუტის დასაუღეთ სანაპიროზე დასვა და სწრაფად მიატოვა ის.

სპეტრაზმელებმა გადმოსხმისთანავე სცადეს ადგილმდებარეობის დაზუსტება, მაგრამ მათი მხედველობის არეალში არც ერთი დამახასიათებელი ორიენტირი არ ჩანდა. წინ მხოლოდ უსასრული დაბლობი იყო, რომლის კონტურებიც სიბნელეში იკარგებოდა. ერთადერთი ხმა, რომელიც ესმოდათ, შვეულმფრენის ძრავებისა იყო, თანდათან რომ სუსტდეს.

საეკადრო ნადმოსანი „შევილი“ სწორედ „სუპერტენდერისა“ და „ეკოზიტის“ მსხვერპლი გახდა



ხანძრის ქრობა საეკადრო ნადმოსან „ქოვენთრიზე“

ბოდა. ბოლოს კი ეს ხმაც მიწედა და დასაუღეთის ცივი ქარის ხისინიდა არღვევდა მუდღროებას.

გიბომ და ტაჟმა მეთაურს ჰკითხეს,

რატიომ მიატოვეს ის ადგილი, რომელსაც ვეღვა ზუსტ პოზიციად თვლიდა. ედი თვისას არ იმღიდა და ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მისი გადამწყვეტილება იყო სწორი. სხვა გზა არ იყო და სპეტრაზმელები ადგილსამყოფელის გარკვევას შეუღდნენ.

მეთაურმა რაზმი ორო-ორ მებრძოლად დაყო და უბრძანა, რაიმე ორიენტირი მოეძებნათ. სპეტრაზმელები დიღამდე ეძებდნენ ორიენტირებს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. გამოთინისას სპეტრაზმელები ისევ გადაჯგუფდნენ, ადგილზე ორიენტირება კი მაინც ვერ მოახერხეს. ჯგუფის უფროსმა სათანამგზავრო კავშირის აპარატურა ჩართო და მდგომარეობა SAS-ის შტაბს მოახსენა, რომელიც 9000 მილით იყო მათგან დაშორებული და ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემიდან მე-80 კილომეტრზე მდებარეობდა. ერთადერთი რჩევა, რომელიც მეთაურმა 9000 მილის სიშორიდან მიიღო, იყო ის, რომ დამშვიდებულიყვნენ და რაიმე ორიენტირი მოეძებნათ, შემდეგ კი დავალება შესრულებნათ.


შემდეგი ორი დღე-ღამის განმავლობაში სპეტრაზმელები დღისით იმალდებოდ-



ბრიტანეთის საზღვაო დანაკარგები ფოლკლენდის კონფლიქტის დროს

გემის ტიპი	წაღწევა (ტ)	დაღუპვის თარიღი	მიზეზი
საესკადრო ნაღმოსანი „შეფილი“	4100	10.05.82	რაკეტა „ექსპლოსტი“ AM-39
ფრეგატი „არდენტი“	3250	22.05.82	საავიაციო ბომბი
ფრეგატი „ანტილოუპი“	3250	23.05.82	საავიაციო ბომბი
საესკადრო ნაღმოსანი „ქოუნთრი“	4100	25.05.82	საავიაციო ბომბი
ტრანსპორტი „ატლანტიკ კონდიერი“	14946	25.05.82	რაკეტა „ექსპლოსტი“ AM-39
სადესანტო გემი „სერ ვალაპადი“	5674	08.06.82	საავიაციო ბომბი

ბრიტანული გემების დაღუპვის რუკა



წენ, ლამაობით კი ორიენტირებს ემბდენენ. საბედნიეროდ, მოახერხეს ეს. როგორც გაირკვა, დათქმული ადგილიდან დასაუღლით 50 მილის დაშორებით იყვნენ. პოზიციის გარკვევის შემდეგ ჯგუფმა მიზნამდე მისასვლელი მანძილი და მის გასაველად საჭირო დრო გამოთვალა. მხედველობაში მიიღეს დარჩენილი სურსათი და ფიზიკურ-მორალური მდგომარეობა (შეძლებდნენ კი ამხელა მანძილის გაყლის შემდეგ დაეღუპის შესრულებას). აღმოჩნდა, რომ 50 მილის შეუშნეველად გასაველად, მტრის აეროდრომთან მისახლოვებლად, დაეღუპის შესასრულებლად და შემდეგ მშვიდობიანად უკან დასაბრუნებლად ჯგუფს წელისა და საკვების მარაგი არ უყოფიდა.

გამოთვლის შედეგები ჯგუფმა შტაბს გადასცა პერფორდში, საიდანაც ბრძანებამ არ დააყოვნა: სასწრაფოდ შეწყვიტათ ოპერაცია და ევაკუაციის საგანგებო ჯგუფთან შესახვედრად წასულიყვნენ. 72 საათის შემდეგ სპეტრაზმელები შვედ პერფორდში იყვნენ, სადაც ოპერაციის დასრულები ოფიცრები მათ ძალზე

მკაცრად შეხედნენ. ისინი ხომ ოპერაციას რამდენიმე კვირის განმავლობაში ამზადებდნენ, ყოველ წერილმანს ზედმიწევნით ამუშაებდნენ. ამ ოპერაციას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ საჭირო იყო ოპერაციის სრული კრახის მიზეზის პოვნა და SAS-ის ხელმძღ-

ვანელობა დაუყოვნებლად შეუდგა სასამართლო გამოძიებას.

შვედმფრენის ეკიპაჟი, ისევე როგორც სპეტრაზმელთა უძრაველობა, დარწმუნებული იყო, რომ თავდაპირველად ზუსტად იმ ადგილას გადასხდნენ, რომელსაც გეგმა ითვალისწინებდა, მაგრამ მეთაურმა, რომელსაც გადაწყვეტილი სიტუაციის უფლება ჰქონდა, გასცა სხვა, როგორც აღმოჩნდა, მცდარი ბრძანება.

საკამოძიებო ჯგუფის „დაბლომატიურ“ დასკვნაში ქურა: „უდიდესი დაძაბულობის და სტრესის პირობებში მეთაურმა ენდომ მცირე სანავიაციო შეცდომა დაუშვა. ამ „მცირე“ შეცდომამ კი, თავის მხრივ, გამოიწვია საექსპლდოციო ძალები-ისათვის კატასტროფული შედეგი სამხრეთ ატლანტიკაში. ოპერაცია, რომელსაც კიდევ ერთი საკმარისი ფურცელი უნდა ჩაეწერა SAS-ის მატჩანეში, სამარცხვინოდ ჩაღვლიდა. სწორედ „სუპერტენდენტების“ ესკადრილამ შეცვალა რამდენიმე ბრიტანული გემი...

ასე დაამთავრა ბრიტანეთის SAS-მა თავისი პირველი ოპერაცია ფოლკლენდის კონფლიქტში, მაგრამ მოგვიანებით, ამავე ომში, ატლანტიკის ადღენა მანცე მოახერხა.

დამწვარი „ატლანტიკ კონვეიერი“ კონსერვის ცარიელი ქილის მსგავსად ტიფტიფებდა...





„ჭეჭა-ქუხილი“ რუსულად

აზოვოზ-უზპაარსაგროცნის კოვალესი ГРОЗА რუსეთის პრეზიდენტის დახვის შეიარაღებაში, აზოვოზ ეს მის მფინიურ ნაქოვანაგვას ვერ გაღაწონს...

მაგრამ სპეცვანების სიძვირის გამო მღვე შექმნა ჩვეულებრივი 7.62X39 მმ ტიპის (რომლებიც AK-47 და AKM-ის ავტომატებში გამოიყენება) ვახუნებუ ვთველილი მოდიფიკაცია ГРОЗА-1, რომელიც უკვე საარმიო სპეცდანიშნულების რაზმებისთვის იყო განკუთვნილი.

ავტომატ-ყუმბარსატორცნის კომპლექს „გროზას“ განმასხვევებელი ნიშანი ის იყო, რომ ავტომატისა და ყუმბარსატორცნის სროლა ერთი სასხლეტის გამორევათ შეიძლებოდა, ცეცხლის ტიპის არჩევა კი სპეციალური ბერეკტით ხდებოდა.

ამ ტექნიკურ გადაწყვეტილებას უნივერსალურობის პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ როგორც შედგომ იარაღის გამოცდამ ცხადყო (მათ შორის ჩეჩნეთშიც), გახურებული ბრძოლის დროს მსროლელს ხშირად ეშლებოდა, რომელ რეჟიმზე იდგა გადამთვეული ბერეკტი.

„გროზას“ დადებით მხარეს მიეკუთვნება მისი ტრანსფორმაციის შესაძლებლობა. საიერიშო ავტომატად მის გადასაკეთებლად სულ რამდენიმე წუთით საჭირო: იარაღს ეხსნება ყუმბარსატორცნი და ზელმოსაკიდი სპეციფიკურ სასხლეტი ჩვეულებრივი სასხლეტით იცვლება. ლულაზე აყენებენ

ხელის წინა მოსაკიდს, რაც კომპაქტური ავტომატის მართვას აუმჯობესებს.

საჭიროების შემთხვევაში, „გროზას“ გადაკეთება სპეციალურ საიერიშო ავტომატადც შეიძლება. ამ შემთხვევაში ყუმბარსატორცნის ნაცვლად მას მაყუნს უყენებენ, რომელიც გასროლის ხმას 118 დეციბელამდე ამცირებს. მაყუნი

ჩვენი დონი: ავტომატ-ყუმბარსატორცნის კომპლექსი **ОЦ-14 Гроза-1** 9 მმ-იანი ვარიანტის მასა 2,7 კგ-ია (ყუმბარსატორცნით 4 კგ), ხოლო 7,62 მმ-იანი ვარიანტი კი 3,1 კგ-ს იწონის. სროლის მანძილი 9 მმ-იანი ტყვიების შემთხვევაში 400 მ-ია, ხოლო 7,62 მმ კალიბრის ტყვიებისა კი 1000 მ-მდე.

ორვე მათგანს 40 მმ-იანი ყუმბარსატორცნი **ГП-25** ან **ГП-30** უყენდება, რომლებიც ყუმბარას 400 მეტრამდე ისვრიან.

სროლის ტემპი 9 მმ-იანი ტყვიების შემთხვევაში წუთში 700 გასროლამდე აღწევს, 7,62 მმ-იანი ტყვიებისა კი წუთში 750 გასროლას.

მკვდში 9 მმ კალიბრის 20 ან 7,62 მმ კალიბრის 30 ვახნა ჩადის (მჭიდვით ერთმანეთისგან განსხვავებულია).

დასველეთის მიბაძვით, სადაც მე-20 საუკუნის ბოლოსთვის უნებრსალური საიარაღო კომპლექსების (რომელშიც გაერთიანებული იყო საიერიშო შაშხანა, ყუმბარსატორცნი და ცეცხლის მართვისა და დამოხვების ელექტრონული სისტემა) კონსტრუირება დაიწყო, რუსეთის საიარაღო ცენტრში — ტულაში თუიანთი მიბრიდა შექმნეს.

რუსეთის შინაგანი ვარების სპეცრაზმების შესაიარაღებლად ტულელმა კონსტრუქტორებმა 1994 წელს დააპროექტეს ავტომატ-ყუმბარსატორცნის კომპლექსი **ОЦ-14 Гроза**.

რუსული „ჭეჭა-ქუხილის“ პირველი ვარიანტი 9 მმ კალიბრის სპეცვანებისთვის **СП-5** და **СП-6**-ზე იყო განკუთვნილი, რომლებიც სპეცდანიშნულების იარაღში **Винторез**-სა და **Вал**-ში გამოიყენებოდა.



გარედან რუხინის გარსაცმითა და ფარული, მაგრამ რამდენად დაიცავს ინტენსიური სროლისას გახურებული მაყუჩისგან მსროლელის მარცხენა ხელს, ძნელი სათქმელია.

თავიდან რუხი საიარაღო საქმის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „გროზას“ აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც.

დადებით მხარედ მიჩნეულია, რომ „ბულაპას“ საქმის გამოყენებამ (როდესაც სახსელი მჭიდვს წინა) „გროზა“ საკმაოდ კომპაქტური გახადა, — 560 მმ მაყუჩის გარეშე. მოკლე-ლულიანი AKC-74Y-ს სიგრძე დაკვიცილი კონდახით უფრო ნაკლებია, — 490 მმ (მაგრამ AKC-74Y-ს ლულის სიგრძე 210 მმ-ია, ხოლო Гроза-სი კი 240 მმ). „გროზას“ გამოყენება ქალაქის პირობებში გაადვილებულია, მით უმეტეს, თუკი СП-5, СП-6 და ПАБ-9 ტიპის 9 მმ-იან სპეცვაზნებზეა გათვლილი, რომელთა ტყვიები ნაკლებ რიკოშეტს იძლევა 5,45 და 7,62 მმ კალიბრის ტყვიებთან შედარებით.

შეზომაში სპეცოპერაციის ჩატარების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ნასროლმა ტყვიებმა ნაკლებად განიცადოს რიკოშეტი და მათ დიდი შემარეგბელი ძალა ჰქონდეს ადამიანის სხეულზე მოხვედრისას. СП-5 ტიპის ვაზნის 16,8-გრამიანი ერთი ტყვია კაცს



9 მმ-იანი ОЦ-14 Гроза-ს ოთხი ვარიანტი: საბაზოსო, წინა ხელისმოსაკიდით, ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით და სნაიპერული მაყურით

9 მმ-იანი სპეცვაზნები — СП-5 და СП-6. მარჯვენა კუთხეში შედარებისთვის 7,62 მმ-იანი АКМ-ის ვაზნა



საინტერესოა, ინტენსიური სროლისას დაწვებთ თუ არა მარცხენა ხელი P103A-ს მსროლელს?




კი არა, ხარს წააქცევს (შედარებო-სოვის: აუტომატის 5,45 მმ კალიბრის ტყვიის მასა 3,61 გრამია, ხოლო 7,62 მმ ტყვიისა კი 7,9 გრამი). ამასთან, ამ სპეცტევიების საწყისი სიჩქარე მხოლოდ 280 მ/წმ-ია, ანუ ბგერის სიჩქარეზე ნაკლებია, რაც მაყუჩის გამოყენების შემთხვევაში სროლის ხმას მნიშ-ვნელოვნად ამცირებს.

რამდენიმე ათეული „გროზა“ რუსე-თის პრეზიდენტის დაცვის სამსახურმაც ბაილო შეიარაღებაში (ჯერ კიდევ ელ-ცინის დროს, მაგრამ მალევე დააფიქ-სრეს ის ხარუჯები, რაც რუსულ საი-არალო პაპირიდს საკმარისზე მეტი ჰქონ-და).

„გროზას“ ნაკლად ითვლება: მოკ-ლე სამიხნე ხაზი, რომელიც ზუსტ და-მინებას ართულებს; შორ მანძილზე

7,62 მმ-იანი P103A-1-ის არასრული დაშლა



სროლის დამიხნების წერტილის არჩე-ვის სირთულე; დასამიხნებელი მოწყო-ბილობის სპეციალურ ამადლეკულ ხილზე განთავსება (როგორც ეს ამერიკულ აუტომატურ კარაბინ M4-ს აქვს) და AKM-ის გრძელი მჭიდი დაწო-ლილ მსროლელს აძიძულებს, ნახევრად წამოიძაროს, რის გამოც იზრდება თა-ვად მისი დაზიანების ალბათობა მოწი-ნააღმდეგის ცეცხლისგან; კონდახის მა-ღალი განთავსების გამო, სწრაფად სროლისას ტყვიები ხშირად მიწაში ერჭობა, რადგან დამიხნების ხაზის ქვე-მით შეცვლილი ტრაექტორიით მიფრე-ნავენ; „ბულაბაის“ სქემის გამო „გრო-ზას“ სროლისას მარჯვნივ გადმოდრდ-ნილი პილზები ცაციას პირდაპირ სახე-ში ხედება...

ჩანს, ამ ტაქტიკურ-ტექნიკური და სხვა სახის (ფინანსური) პრობლემების გამო P103A-მ ფეხი დღემდე ვერ მოიკი-და რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმებშიც კი, რომ აღარაფერი ვთქ-ვათ უფრო მსხვილი შენაერთების მის-ით გადაიარაღებაზე.

ირაკლი ალადაშვილი

სპეციალურ დიპლომატში ჩანყობილი დეტალებით P103A-ს ტრანს-ფორმირება რამდენიმე წუთშია შესაძლებელი



ГРОЗА



1-30

684/34

საბრძოლო



ISSN 1987 - 5061